დანართი-1.

სანოტარო აქტი
საქართველო

ორი ათას ოცი წლის ოცდაშვიდ მაისს მე, ნოტარიუს **სოფიკო გობეჯიშვილს, რომლის** სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №49, კვარტალი 1, კორპუსი 3, ბინა 1, მომმართა **იმედა მუმლაძემ.** მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **იმედა მუმლაძემ** (დაბ. 22.05.1988წ. პ/ნ **47001015116**, რეგისტრირებული მისამართზე: ქალაქი ახალციხე, მიხეილ თამარაშვილის ქ. #8, ბ. 3) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. შემდეგ წავუკითხე მას მინდობილობის ტექსტი, განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, რის შემდეგაც **იმედა მუმლაძემ** თავადაც წაიკითხა მინდობილობის ტექსტი და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მინდობილობა

მე, **იმედა მუმლაძე** (დაბ. 22.05.1988წ. პ/ნ **47001015116**, რეგისტრირებული მისამართზე: ქალაქი ახალციხე, მიხეილ თამარაშვილის ქ. #8, ბ. 3) ვანიჭებ უფლებამოსილებას **შპს „ატლანტ-ოილ"-ს** (ს/ნ 424254522) ჩემს საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთზე (ს/კ #62.09.54.834) საპროექტო და სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულებასთან, მშენებლობის ნებართვის მოპოვებასთან, წითელი ხაზების დადგენასთან, ასევე ლეგალიზაცია/დაკანონებასთან და სამშენებლო სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებით იყოს ჩემი წარმომადგენელი ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ყველა სახელმწიფო და კერძო ორგანიზაცია-დაწესებულებაში, იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სანოტარო ბიუროში, ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიაში და მის სამსახურებში, მათ შორის არქიტექტურის სამსახურში, ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანოებში, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროში, საგზაო დეპარტამენტში, კომუნალური მომსახურების სამსახურებში, წარადგინოს და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტაცია / პროექტი / ნებართვა, ატვირთოს ელექტრონული ვერსია, მოაწეროს ხელი სათანადო დოკუმენტებს და განახორციელოს ყველა მოქმედება აღნიშნული დავალების შესასრულებლად.

მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია გაუქმებამდე.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობს.

სანოტარო მოქმედება შესრულდა მისამართზე: ქ. თბილისი, ირ. აბაშიძის ქ. #68.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 10 (ათი) ლარი („სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის №507-ე დადგენილების მუხლი 31 პ.7-ის თანახმად) და რეგისტრაციის საფასური 2 (ორი) ლარი (ამავე დადგენილების მუხლი 39 პ.1-ის თანახმად). **სულ გადახდილია 12 (თორმეტი) ლარი.**

იმედა მუმლაძე .....

ნოტარიუსი

/სოფიკო გობეჯიშვილი/

ს ა ნ ო ტ ა რ ო ა ქ ტ ი
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ორი ათას ოცი წლის ოცდაშვიდ მაისს მე, ნოტარიუს, ირმა შარვაძეს, სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, კ. შარტავას №42-ში, მომმართა მოქ. **მამუკა მიქელაძემ**, რომელმაც განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი საბუთის საშუალებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მოქ. **მამუკა მიქელაძემ (დაბ.27.09.1970წ. პ/ნ: 47001011855, მისამართი: ქალაქი ახალციხე, მიხეილ თამარაშვილის ქუჩა, N 41ა, ბინა 38)** მომმართა. შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, რაშიც ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. დაკადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შევადგინე მინდობილობის შინაარსი, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მას. მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **მამუკა მიქელაძე**, ამ მინდობილობით უფლებას ვაძლევ **შპს „ატლანტ-ოილ"-ს (ს/ნ:424254522)** ჩემს საკუთრებაში არსებულ **უძრავ ნივთზე მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 62.09.62.466**, საპროექტო და სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულებასთან, მშენებლობის ნებართვის მოპოვებასთან, წითელი ხაზების დადგენასთან, ასევე ლეგალიზაცია/დაკანონებასთან და სამშენებლო სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებით იყოს ჩემი წარმომადგენელი ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ყველა სახელმწიფოდა კერძო ორგანიზაცია-დაწესებულებაში, იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სანოტარო ბიუროში, ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიაშიდა მის სამსახურებში, მათ შორის არქიტექტურის სამსახურში, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებში, საქართველოს ეკონომიკის სამინისტროში, საგზაო დეპარტამენტში, კომუნალური მომსახურების სამსახურებში, წარადგინოს და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტაცია/პროექტი/ნებართვა, ატვირთოსელექტრონული ვერსია, მოაწეროს ხელისათანადო დოკუმენტებს და განახორციელოს ყველა მოქმედება აღნიშნული დავალებების შესასრულებლად.

მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით.

მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება ჩემს არქივში.

გადახდილია საზღაური 10.00 (ათი) ლარი, დღგ 1,80 (ერთი მთელი ოთხმოცი მეასედი) ლარი, რეგისტრაციის საფასური 2.00 (ორი) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა (29.12.2011 წ. №507 "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ") 31-ე და 39-ე მუხლისა და საგადასახადო კოდექსის 169 მუხლისა.

"მიმნდობი" ----------

ნოტარიუსი ----------

დანართი-2.


N
332820
332830
332840
332820
332830
332840
461240
461230
461220
461240
461230
461220
62.09.54.834.
62.09.62.466
სპეციალური მეშვეობა
სპეციალური მეშვეობა

საწარმოს სიტუაციური გეგმა გაფრქვევის წყაროებით მ 1:300
ქ. ახალციხე, მიხეილ თამარაშვილის ქ. №57.



ექსპლიკაცია: №1. ადმინისტრაცია; №2. სარკოფაგი; №3. გასამართი სვეტები; 4. X-Y კოორდინატთა ნულოვანი წერტილი.

	დამკვეთი: შპს "ა(ა)ფ(ა)ა(ა)ი(ა)ლ(ი)" 424254522	მისამართი: ქ. ახალციხე მ. (ა)ა(ა)ა(ა)ი(ა)ლ(ი)ს ქ.№57.	შენიშვნები:	ნახაზის დასახელება: მიხეილ თამარაშვილის ქუჩის 1:300	შპს "ბასფალტ"
					ფორმატი A-4